გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2024-2025 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

1. პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:

(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

„ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლა ტყიბულის მუნიციპალიტეტში“ — თანამედროვე კულტურული და საგანმანათლებლო კერა რომელიც აერთიანებს ტრადიციულ ხელოვნებასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებს

2. თემატიკა:

(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

პროექტი წარდგენილია ძირითად თემაზე: **N13 — „საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობა და განვითარების პროექტებისთვის საერთაშორისო დაფინანსების მოძიების წარმატებული გამოცდილება“.**

ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL) არის ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული ინიციატივა რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). ტყიბულის მუნიციპალიტეტის წინამდებარე პრაქტიკა „ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლა“ სწორედ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების(GIZ) მიერ იქნა დაფინანსებული.
აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს ნათელ მაგალითს, იმისა თუ როგორ შეუძლია პოსტინდუსტრიულ მუნიციპალიტეტს წარმატებით მოიზიდოს, ეფექტიანად აითვისოს და მდგრად,ს ინოვაციურ პროექტად აქციოს საერთაშორისო გრანტი.

გარდა ძირითადი საკონკურსო თემისა, პროექტი მისი მულტიფუნქციური ხასიათიდან გამომდინარე მჭიდროდ უკავშირდება შემდეგ საკონკურსო თემებსაც:

- **N5 — სკოლამდელი აღზრდა, სკოლისგარეშე განათლება და ზრდასრულთა განათლების მუნიციპალური პროგრამები** – ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლა ფუნქციონირებს როგორც არაფორმალური განათლების კერა და ახალგაზრდული ჰაბი, სადაც ეტაპობრივად ყალიბდება ქალაქის განვითარებაზე ორიენტირებული, მოტივირებული ახალგაზრდების გუნდი.
- **N6 — გარემოს დაცვა, ენერგოეფექტურობა და მდგრადი ურბანული განვითარება** – ძველი სამხატვრო სკოლის შენობის რეაბილიტაცია და მისი ფუნქციური გარდაქმნა სამხატვრო და ინოვაციების ჰაბად ემსახურება ქალაქის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ურბანული გარემოს გამოცოცხლებას და სიცოცხლისუნარიანი, მდგრადი საჯარო სივრცის შექმნას.
- **N8 — ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელება და ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა** – სკოლა ხელს უწყობს ახალგაზრდების განათლებას, თვითრეალიზაციასა და ციფრულ სამყაროში ინტეგრაციას; აძლევს მათ შესაძლებლობას, ადგილობრივად დაეუფლონ თანამედროვე შრომის ბაზრისათვის საჭირო უნარებს და ჩაერთონ მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.
- **N15 — ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ინოვაციური მუნიციპალური სერვისის/პრაქტიკის დანერგვა; მუნიციპალური სერვისების ელექტრონული მოდულების საშუალებით მიწოდების მრავალფეროვნება; ციფრული სერვისების განვითარება** – პროექტის ფარგლებში შემუშავებულია ინოვაციური საგანმანათლებლო მოდულები და ტექნოლოგიური მიმართულებები (გრაფიკული დიზაინი, 3D მოდელირება, STEM და ინოვაციების კლუბი, AI-სა და ციფრულ პროფესიებთან დაკავშირებული კურსები), რაც მუნიციპალიტეტში ციფრული განათლებისა და ინოვაციური სერვისების განვითარებას უწყობს ხელს.
- **N17 — საუკეთესო პრაქტიკად აღიარებული პროექტის გაზიარება და თანამშრომლობა მისი დანერგვის ხელშეწყობისთვის** – გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებამ (GIZ) CESL პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული მრავალი ინიციატივიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტის ვიზუალური ხელოვნებისა

და ინოვაციების სკოლის პროექტი საუკეთესო პრაქტიკად აღიარებული პროექტების სიაში შეიყვანა. ტყიბულში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა დელეგაცია სომხეთიდან, რომელსაც მუნიციპალიტეტმა და GIZ-ის წარმომადგენლებმა გააცნეს პროექტის მოდელი და შედეგები, რაც ამ ინიციატივას საერთაშორისო გაზიარებისა და რეპლიკაციის მაღალი პოტენციალის მქონე პრაქტიკად აყალიბებს.

3. პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:

(მუნიციპალიტეტი, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობა).

პროექტის ინიციატორი და განმახორციელებელი არის ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში სამხატვრო სკოლას მრავალწლიანი ისტორია ჰქონდა, თუმცა სკოლას არ გააჩნდა საკუთარი, დამოუკიდებელი სივრცე და ფუნქციონირებდა მუნიციპალური თეატრის შენობის კონკრეტულ ნაწილში. შეზღუდული ფართობი და არასათანადო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად ზღუდავდა მოსწავლეთა რაოდენობას, სწავლების ხარისხს და შემოქმედებითი პროცესის სრულფასოვნად ორგანიზებას — სკოლა მაქსიმუმ 100 ბენეფიციარს იტევდა. მოთხოვნა კი გაცილებით მაღალი იყო.
წლების განმავლობაში მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები გამუდმებით საუბრობდნენ საჭიროებაზე — ქალაქს სჭირდებოდა თანამედროვე, სრულფასოვანი სამხატვრო სკოლა. შესაბამისად, წინამდებარე პრაქტიკის განხორციელებას ძლიერი საზოგადოებრივი მხარდაჭერა და დაკვეთა უკვე ჰქონდა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ საჭიროებას ზემოთხსენებულ საგრანტო კონკურსში სამხატვრო სკოლის ინიციატივის წარდგენით უპასუხა. წარდგენილი იქნა იცინიატივა, რომელიც არა მხოლოდ არსებული პრობლემის — სამხატვრო სკოლის სივრცის დეფიციტის — გადაწყვეტას ითვალისწინებდა, არამედ ქმნიდა სრულიად ახალ, ინოვაციურ კონცეფციას.
გადაწყვეტილება იყო სტრატეგიული — სამხატვრო სკოლის უბრალოდ გაფართოების ნაცვლად, სკოლისთვის რეაბილიტირდა ცალკე მდგომი შენობა და მის ბაზაზე შეიქმნა ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის მოდელი, რომელიც აერთიანებს:

- ტრადიციულ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას,
- თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს,
- ინოვაციურ სასწავლო პრაქტიკებს,
- არაფორმალურ განათლებას და ახალგაზრდულ სივრცეს,
- ხელოვნური ინტელექტისა და 3D მოდელირების მიმართულებებს.

ასეთი ტიპის სივრცე ტყიბულში აქამდე არ არსებობდა — ქალაქში პირველად შეიქმნა მრავალფუნქციური შემოქმედებით-ინოვაციური ჰაბი, რომელიც არის:

- თანამედროვე სამხატვრო სკოლა,
- ახალგაზრდული პლატფორმა,
- ციფრული და ინოვაციური განათლების ცენტრი,
- საზოგადოებრივი სივრცე და შემოქმედებითი ეკოსისტემა.

დღეს პროექტი წარმატებით ფუნქციონირებს და უკვე ხილული შედეგები აქვს — გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა, გაძლიერდა ახალგაზრდული ჩართულობა, შეიქმნა სრულიად ახალი საგანმანათლებლო მოდული და ჩამოყალიბდა ქალაქის ახალი მოწინავე კულტურულ-ინოვაციური ცენტრი, რომლის გავლენა მომავალ წლებში კიდევ უფრო გაიზრდება.

4. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი/ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ. მაქსიმუმ ნახევარი გვერდი)

ტყიბულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ზღვის დონიდან საშუალოდ 600–800 მეტრის სიმაღლეზე და მოიცავს ოკრიბის ქვაბულის ტერიტორიულ ზონას. მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე შეადგენს დაახლოებით 120 კილომეტრს, ხოლო საერთო ფართობი — 478.8 კმ², რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 0.69%-ს შეადგენს.
ტყიბულის მუნიციპალიტეტი დაყოფილია 10 ადმინისტრაციულ ერთეულად.
დემოგრაფიული მდგომარეობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) 2023 წლის მონაცემებით ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 16 800 ადამიანს, რაც საქართველოს მოსახლეობის 0.46%-ს, ხოლო იმერეთის რეგიონის მოსახლეობის 3.63%-ს წარმოადგენს. მოსახლეობა განაწილებულია თითქმის თანაბრად — 50.8% (8600 ადამიანი) ურბანულ ზონაში და 49.2% (8300 ადამიანი) — სოფლებში.
ბუნებრივი რესურსები - ტყიბული ისტორიულად ცნობილია ქვანახშირის საბადოებითა და მძიმე მრეწველობით, რომელიც მრავალი ათწლეულის განმავლობაში იყო მუნიციპალიტეტის ეკონომიკური ხერხემალი. დღემდე დაფიქსირებული მარაგი შეადგენს დაახლოებით 3.1 მლნ მ³-ს, რის გამოც მუნიციპალიტეტი კვლავ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ენერგეტიკული პოტენციალის მატარებელია.
ტყიბულის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის სივრცითი განაწილება და არსებულ დემოგრაფიულ-ეკონომიკური რეალობა ქმნის განახლებისა და განვითარების იმ ფართო საფუძველს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა „ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის“ პროექტი.

5. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

შიდა ფაქტორები

ტყიბულის მუნიციპალიტეტი ფლობს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე განხორციელებული საგრანტო და განვითარების პროექტების მრავალწლიან გამოცდილებას. მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული და ტექნიკური გუნდი, რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციებით უზრუნველყოფს პროექტების დაგეგმვა–მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების სრულყოფილ პროცესს.

მერიაში ფუნქციონირებს სპეციალიზებული პოზიცია — მერის თანაშემწე საერთაშორისო და საგრანტო მიმართულებით — რომლის საქმიანობა მიზნად ისახავს დონორებთან ეფექტიან კომუნიკაციას, საგრანტო შესაძლებლობების სისტემურ მოძიებასა და განაცხადების მომზადებას. აღნიშნულმა მოდელმა მნიშვნელოვნად გააძლიერა მუნიციპალიტეტის ინსტიტუციური შესაძლებლობები და საგრანტო კონკურსებში წარმატების მაჩვენებელი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტს ჩამოყალიბებული აქვს შედეგებზე ორიენტირებული, გამჭვირვალე და ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობა საერთაშორისო დონორებთან. ბოლო წლებში მუნიციპალიტეტმა წარმატებით იმუშავა ისეთ პარტნიორებთან, როგორიცაა:
UNDP, GIZ, ევროკავშირის პროგრამები EU4ITD და CESL, SlovakAid, გოეთეს ინსტიტუტი, Solidarity Fund PL.
მრავალჯერადი დაფინანსება წარმოადგენს მკაფიო დასტურს მუნიციპალიტეტის მაღალი რეპუტაციის, ფინანსური დისციპლინისა და პროფესიონალიზმის შესახებ.

მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბებულია არაფორმალური, მაგრამ პრაქტიკაში გამოცდილი კერძო-საჯარო პარტნიორობის (PPP) ეფექტიანი მოდელი. კულტურულ, საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში კერძო სექტორის მონაწილეობა მნიშვნელოვნად ზრდის ინიციატივების მასშტაბს, ხარისხს და მდგრადობას. აღნიშნული თანამშრომლობა ასახულია როგორც მიმდინარე, ისე დასრულებულ პროექტებში.

ტყიბულში განსაკუთრებულად აქტიურია არასამთავრობო სექტორი, მათ შორის — „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი“ (TDDF), რომელიც მუნიციპალიტეტის სტრატეგიული პარტნიორია ახალგაზრდობის, განათლებისა და ინოვაციების მიმართულებით. სხვა პარტნიორებთან ერთად, TDDF განაპირობებს ინიციატივების მაღალ ხარისხს, საზოგადოების ჩართულობასა და შედეგებზე ორიენტირებულ მართვას.
გარე ფაქტორები

ტყიბული წარმოადგენს პოსტინდუსტრიულ მუნიციპალიტეტს, სადაც მიმდინარეობს ეკონომიკური ტრანსფორმაცია — მძიმე მრეწველობიდან ყურადღება ეტაპობრივად გადადის განათლების, კულტურის და ტურიზმის

მიმართულებებზე. აღნიშნული სტრატეგიული კურსი ზრდის ინოვაციური და ახალგაზრდული პროგრამებისაკენ მიმართულ საერთო მოთხოვნას.
მუნიციპალიტეტში მაღალია სამუშაოსმძებნელთა ხვედრითი წილი, რის გამოც საგრძნობლად გაზრდილია იმ სივრცეების საჭიროება, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების პროფესიულ, ტექნოლოგიურ და შემოქმედებით განვითარებას.
ტყიბულის გეოგრაფიული მდებარეობა,კერძოდ რომ ის ქუთაისი–რაჭის დამაკავშირებელი ერთგვარი ხიდია, ქმნის საგრძნობ პოტენციალს ტურიზმის, კულტურული მარშრუტებისა და რეგიონული ღონისძიებების განვითარებისთვის. ხსენებული გარემოება დამატებით უწყობს ხელს მუნიციპალიტეტის კულტურულ-ინოვაციური ეკოსისტემის გაძლიერებას.
ტყიბულის მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროგრამებში (GIZ, CESL, EU4ITD, UNDP, Solidarity Fund PL და სხვა), რაც უზრუნველყოფს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების ინტეგრაციას ადგილობრივ თვითმმართველობაში — მათ შორის ადმინისტრირების, ინფრასტრუქტურის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ინოვაციების სფეროებში.
მუნიციპალიტეტში მოქმედი ძლიერი სამოქალაქო გარემო — არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ინიციატივები და კერძო სექტორი — უზრუნველყოფს მოსახლეობის მაღალი ჩართულობისა და თანამონაწილეობის კულტურას, რაც დადებითად აისახება ყველა მნიშვნელოვანი პროექტის მდგრადობაზე და წარმატებაზე.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

გამოწვევა

ტყიბულის მუნიციპალიტეტში ვიზუალური ხელოვნების სკოლა ათწლეულების განმავლობაში ფუნქციონირებდა მკვეთრად შეზღუდულ პირობებში — მუნიციპალური თეატრის უკანა ფლიგელში, სადაც არ არსებობდა თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი გარემო. მოსწავლეებსა და პედაგოგებს არ ჰქონდათ წვდომა სპეციალიზებულ სახელოსნოებზე, საგამოფენო სივრცეებზე, ტექნიკურ რესურსებსა და უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებზე.
ასევე, არ არსებობდა გამოყენებითი ხელოვნების სწავლებისთვის აუცილებელი სივრცე და დანადგარები, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა როგორც სწავლების ხარისხს, ისე პედაგოგთა პროფესიულ განვითარებას.
მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოტენციალი მაღალი იყო, არ არსებობდა სისტემა, რომელიც ამ ენერგიას მიმართავდა შემოქმედებითი, ინოვაციური და მომავლის პროფესიების მიმართულებით. შედეგად, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახერხებდა თვითრეალიზაციას და ხშირად ტოვებდა მუნიციპალიტეტს, რაც ამძაფრებდა დემოგრაფიული კლებისა და მიგრაციის ტენდენციებს.

წარსული გამოცდილება

მუნიციპალიტეტს ჰქონდა კულტურის სფეროში მუშაობის გამოცდილება, თუმცა ინფრასტრუქტურის განახლებისთვის საჭირო ფინანსური და ტექნიკური რესურსი წლების განმავლობაში შეზღუდული იყო.
არსებული წერტილოვანი სარემონტო სამუშაოები ვერ პასუხობდა ინკლუზიურობის, უსაფრთხოების, ციფრული კომპონენტებისა და სპეციალიზებული სახელოსნოებისთვის საჭირო თანამედროვე სტანდარტებს.
ასევე, პრაქტიკულად არ არსებობდა ძლიერი ინსტიტუციური პარტნიორობა, რის გამოც მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შესაძლებლობა მასშტაბური საგრანტო პროექტების დაფინანსების მოზიდვისა.
შიდა რესურსებზე დაყრდნობით სისტემური გარდაქმნა ვერ ხერხდებოდა.

პასუხი არსებულ გამოწვევაზე

2023 წლის ივნისში ტყიბულის მუნიციპალიტეტმა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) CESL საგრანტო კონკურსში წარადგინა ინიციატივა — „ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლა“.

პროექტმა მოიცვა მასშტაბური კომპონენტები:

- შენობის სრული რეაბილიტაცია და თანამედროვე სტანდარტებზე მორგება;
- სპეციალიზებული სახელოსნოებისა და გამოყენებითი ხელოვნების სივრცეების აღჭურვა (კერამიკული წისქვილი, თიხის ამოსაყვანი ჩარხი, ვალცი, მოლბერტები, დაზგები, ხატვისა და ქანდაკების ინვენტარი);
- საგანმანათლებლო მიმართულებების ჩამოყალიბება: ფერწერა, ქანდაკება, კერამიკა, ციფრული ხელოვნება, 3D მოდელირება;

- თანამედროვე სტანდარტების საგამოფენო დარბაზის მოწყობა;
- ტექნიკური ბაზის სრულად განახლება — კომპიუტერები, 3D პრინტერი, პროექტორი, ინტერაქტიული მონიტორი, აუდიო სისტემა, LEGO Robot Inventor;
- უნივერსალური ინკლუზიურობის უზრუნველყოფა — შშმ პირებისთვის ლიფტი და ადაპტირებული ინფრასტრუქტურა.

პროექტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ის, რომ ინფრასტრუქტურულ განახლებასთან ერთად შეიქმნა **ინოვაციური საგანმანათლებლო მოდული**, რომელიც ეფუძნება „ინოვაციების მიმართულების" სილაბუსს და აერთიანებს ხელოვნების, ტექნოლოგიებისა და პროექტების მენეჯმენტის თანამედროვე მიმართულებებს.
სილაბუსი მოიცავს შემდეგ ძირითად ბლოკებს:

- **ტრადიციული ხელოვნება** — ფერწერა, ქანდაკება, კერამიკა, გამოყენებითი ხელოვნება;
- **STEM და რობოტიკა** — LEGO Robot Inventor, ბლოკური პროგრამირება, ტექნიკური ამოცანები;
- **ციფრული ხელოვნება** — გრაფიკული დიზაინი, ფოტოს/ილუსტრაციის ციფრული რედაქტირება;
- **3D დიზაინი და პრინტინგი** — Blender–ში მოდელირება, 3D პროტოტიპების შექმნა და დაბეჭდვა;
- **ხელოვნური ინტელექტი (AI)** — ვიდეო/ფოტო გენერაცია (Hailuo, Runway, Veo 3, Sora), ტექსტური მოდელები (ChatGPT, Grok), AI დიზაინი;
- **AI Chatbot და ინოვაციური სისტემები** — Voiceflow–ზე CRM/Support ბოტების აგება და ტესტირება;
- **VR გამოცდილება** — ურბანული კონცეფციების ვიზუალიზაცია VR სივრცეში;
- **პროექტების მენეჯმენტი** — იდეის ჩამოყალიბება, მიზნების განსაზღვრა, ბიუჯეტი, რისკები, პრეზენტაცია;
- **პიროვნული განვითარება** — ლიდერობა, საჯარო გამოსვლა, მოქალაქეობრივი ჩართულობა.

მოდული ეფუძნება **Project-Based Learning** მიდგომას — მოსწავლეები ქმნიან რეალურ 3D/AI რენდერებს, ანიმაციებს, პროტოტიპებს, ჩატბოტებს, ინფრასტრუქტურული სივრცეების კონცეფციებს და საბოლოოდ წარმოადგენენ საკუთარი პროექტების პრეზენტაციას მუნიციპალიტეტის წინაშე.

პროექტის ფარგლებში გადამზადდა **11 თანამშრომელი**, რამაც სკოლის საქმიანობა გადაიყვანა თანამედროვე, ტექნოლოგიურად გამართულ ფორმატში და უზრუნველყო პრაქტიკის მდგრადობა.

დღეისათვის სკოლა წარმოადგენს მრავალფუნქციურ, კულტურასა და ინოვაციებზე დაფუძნებულ ჰაბს, რომელიც ქმნის ახალ საგანმანათლებლო ეკოსისტემას და არსებითად უწყობს ხელს:

- განათლების ხელმისაწვდომობის ზრდას,
- ახალგაზრდული პოლიტიკის გაძლიერებას,
- ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტის **ურბანული მნიშვნელობა**: - ტყიბული — როგორც პოსტინდუსტრიული ქალაქი — ეტაპობრივად ახორციელებს ისტორიული უბნების განახლებას. პროექტის ფარგლებში რეაბილიტირებულმა უნიკალური არქიტექტურის მქონე შენობამ ქალაქის განახლებას ახალი სიცოცხლე შესძინა და გააძლიერა კულტურულ-საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ხარისხი.

7. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

პროექტის შინაარსი

პროექტის მიზანი იყო ტყიბულის ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის სრული რეაბილიტაცია, ინსტიტუციური გაძლიერება და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ინიციატივამ უზრუნველყო:

- შენობის სრული განახლება არქიტექტურული იდენტობის შენარჩუნებით;
- ფერწერის, ქანდაკების, კერამიკის, 3D დიზაინის, რობოტიკისა და ციფრული ხელოვნების სახელოსნოებისა და ინოვაციების სივრცის მოწყობა;
- თანამედროვე საგამოფენო დარბაზის შექმნა;

- შშმ პირთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ლიფტისა და უნივერსალური დიზაინის ელემენტების მეშვეობით;
- სკოლის ტექნიკური ბაზის მოდერნიზაცია (კომპიუტერები, 3D პრინტერი, ინტერაქტიური მონიტორი, VR, LEGO Robot Inventor და სხვა).

ინიციატივამ არა მხოლოდ სივრცე განაახლა, არამედ ჩამოაყალიბა **ინოვაციური საგანმანათლებლო მოდული**, რომელიც ეფუძნება ინოვაციების მიმართულების სილაბუსს (დანართი N7) და აერთიანებს ხელოვნების, STEM–ის, 3D ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტისა და პროექტების მენეჯმენტის ინტეგრირებულ სწავლებას.

აქტივობათა გეგმა/გრაფიკი
პროექტის პერიოდი: 01.03.2024 – 31.08.2025

#	**აქტივობა**	**თარიღი / პერიოდი**
1	საპროექტო იდეის გასაცნობად შეხვედრა პედაგოგებთან და მოსწავლეებთან (შედგენილი ოქმით)	20.06.2023
2	მერის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (EU4ITD/CESL პროექტისთვის)	27.06.2023
3	საკრებულოს გადაწყვეტილება საპროექტო იდეის მოწონებისა და თანადაფინანსების დამტკიცების შესახებ	31.07.2023
4	გენდერული თანასწორობის საბჭოს ოქმი – საპროექტო იდეის მოწონება	12.09.2023
5	თანამშრომლობის მემორანდუმი მერია – TDDF	04.10.2023
6	პროექტის ოფიციალური სტარტი (პროექტის პერიოდის დასაწყისი)	01.03.2024
7	ტენდერის გამოცხადება (NAT240008309) – სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	22.04.2024
8	სატენდერო წინადადებების მიღების დასრულება	13.05.2024
9	სატენდერო კომისიის სხდომა – გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ბეკა 7“	24.05.2024
10	ხელშეკრულება ტყიბულის მერიასა და შპს „ბეკა 7“-ს შორის (№142)	18.06.2024
11	სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება	ივნისი 2024
12	ინვენტარის და ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვა	მაისი - ივლისი 2025 წელი
13	სამხატვრო სკოლის 11 თანამშრომლის გადამზადება	ივნისი – ივლისი 2025
14	სკოლის სარემონტო სამუშაოები დასრულდა, გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი	22 აგვისტო -2025
15	ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის გახსნა	18 სექტემბერი 2025

პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი :

1. ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2024–2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი
2. მერის N46 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (2023)
3. სამხატვრო სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებთან შეხვედრის ოქმი (20.06.2023)
4. გენდერული საბჭოს ოქმი პროექტის მხარდასაჭერად (12.09.2023)
5. საკრებულოს გადაწყვეტილება თანამონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ
6. მემორანდუმი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდს“ (TDDF) შორის
7. ინოვაციების სკოლის სილაბუსი (დანართი N7)
8. სკოლის რენდერები და ვიზუალური მასალა (დანართები N8)

მოქალაქეთა და ორგანიზაციების ჩართულობა

პროექტი იყო მაქსიმალურად ინკლუზიური:

- **მოსწავლეები და მშობლები** – წარმოაჩენდნენ საგანმანათლებლო საჭიროებებს;
- **TDDF (ადგილობრივი NGO)** – უზრუნველყოფდა ახალგაზრდულ და ინოვაციურ კომპონენტებს;
- **ქალთა ინიციატივები და შშმ პირების წარმომადგენლები** – წარადგენდნენ რეკომენდაციებს ადაპტირებული ინფრასტრუქტურისთვის;
- **საჯარო მოხელეები, თემის წარმომადგენლები, მრჩეველთა საბჭო** – მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოყენებული რესურსები

a) ადამიანური რესურსი

- მერიის ადმინისტრაციული, საორგანიზაციო და საინჟინრო გუნდები
- TDDF–ის პროექტის ჯგუფი
- სკოლის პედაგოგები და ტექნიკური პერსონალი
- 11 გადამზადებული თანამშრომელი (GIZ-ის ტრენინგებით)

b) ფინანსური რესურსი

- **GIZ/CESL გრანტი — 529 960 ლარი**
- **მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა — 38 988 ლარი**

c) მატერიალურ–ტექნიკური რესურსი

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა
- სარეაბილიტაციო სამუშაოები და ინვენტარის შესყიდვა განხორციელდა გრანტის თანხით

გამოწვევები და გადაჭრის გზები

ძირითადი გამოწვევები

- სარემონტო სამუშაოების ვადების დაცვა
- ტექნიკური ინვენტარის მიწოდების შეფერხება
- STEM/ციფრული მიმართულების სპეციალისტების დეფიციტი

გადაჭრის გზები

- GIZ–თან უწყვეტი, ოპერატიული კომუნიკაცია
- მუნიციპალური ზედამხედველობის გაძლიერება
- თანამშრომლების გადამზადება და უნარების განვითარება (GIZ ტრენინგები)

პარტნიორები

- **GIZ / CESL პროგრამა** – ძირითადი დონორი
- **„ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი“ (TDDF)** – ადგილობრივი პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაცია

დამატებითი ინფორმაცია

პროექტის შედეგად შეიქმნა **მრავალფუნქციური ინოვაციურ–კულტურული ჰაბი**, რომელიც აერთიანებს:

- ვიზუალური ხელოვნების კლასიკურ მიმართულებებს,
- STEM კლუბს და რობოტიკას,
- 3D დიზაინსა და პრინტინგს,
- ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულ ვიდეო/ფოტო/ტექსტურ გენერაციას,
- VR ლაბორატორიას,
- პროექტების მენეჯმენტზე დაფუძნებულ პრაქტიკულ სწავლებას.

პროექტი ქმნის გრძელვადიან, მდგრად და გამეორებად მოდელს, რომელიც აძლიერებს ახალგაზრდულ პოლიტიკას, ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციას და უზრუნველყოფს ტყიბულის პოზიციონირებას როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერი ინოვაციური და საგანმანათლებლო ცენტრს.

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

მიღწეული შედეგები

პროექტის განხორციელებამ განაპირობა როგორც ინფრასტრუქტურული, ისე საგანმანათლებლო და ინსტიტუციური სისტემის სიღრმისეული განახლება. მიღწეული შედეგები წარმოადგენს არსებით პროგრესს, რომელიც მნიშვნელოვნად ზრდის ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურულ, საგანმანათლებლო და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს.

ინფრასტრუქტურული ცვლილებები:

- სრულიად რეაბილიტირდა ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის 480 მ² ფართობის შენობა, რომელიც მოეწყო თანამედროვე უსაფრთხოების, ენერგოეფექტურობისა და ინკლუზიურობის სტანდარტების შესაბამისად.
- მოეწყო სპეციალიზებული სახელოსნოები დარგებისთვის — ფერწერა, ქანდაკება, კერამიკა, ციფრული ხელოვნება და 3D მოდელირება, რაც შესაძლებელს ხდის მრავალპროფილურ სწავლას ერთ სივრცეში.
- შეიქმნა თანამედროვე სტანდარტების საგამოფენო დარბაზი და ინოვაციების სივრცე, რომლებიც გამოიყენება გამოფენების, ტურების, დიზაინ–ფორუმებისა და თემატური ღონისძიებებისათვის.

ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის განვითარება:

- სკოლამ მიიღო **5 ერთეული თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა**, 3D პრინტერი, პროფესიული პროგრამული უზრუნველყოფა,ინტერაქტიული მონიტორი, LOGO ROBOT INVENTOR და დამატებითი რესურსები, რაც უზრუნველყოფს AI, STEM და ციფრული ხელოვნების სწავლების თანამედროვე ფორმატს.
- სწავლებაში ინტეგრირდა **ხელოვნური ინტელექტის პლატფორმები** (Hailuo, Sora, Veo 3, Runway, ChatGPT, Grok), რაც განსაკუთრებულად ზრდის მოსწავლეთა ციფრულ კომპეტენციებს.

ადამიანური რესურსის გაძლიერება:

პედაგოგები გადამზადდნენ ინოვაციურ სწავლების მეთოდებსა და თანამედროვე ციფრულ ხელსაწყოებში, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სწავლების ხარისხი და სკოლის ინსტიტუციური შესაძლებლობა.

დადებითი გავლენა

პროექტმა შექმნა სისტემური, გრძელვადიანი და მრავალმხრივი ეფექტი, რომელიც აძლიერებს როგორც ადგილობრივ განათლებას, ისე მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

- ტყიბული ყალიბდება ინოვაციური განათლების რეგიონულ ჰაბად, სადაც ხელოვნება, ტექნოლოგიები, STEM, AI და ახალგაზრდული ჩართულობა ერთიანდება ერთ ფუნქციურ ეკოსისტემაში.
- პროექტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის გაძლიერებაში — სკოლა უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს გოგონების, ბიჭების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის.

კულტურული და ეკონომიკური ეფექტი:

- განახლებული საგამოფენო სივრცე ხელს უწყობს კულტურული ტურიზმის განვითარებას, რაც ზრდის მუნიციპალიტეტის ცნობადობას და ეკონომიკურ აქტივობას.
- ინოვაციების სივრცე ქმნის პლატფორმას ადგილობრივი სტარტაპებისთვის, ახალგაზრდა ხელოვანებისა და შემოქმედებითი ჯგუფებისათვის.

ინსტიტუციური განვითარება:

- GIZ–ის მიერ აღიარებულმა „კარგი პრაქტიკის“ სტატუსმა გაზარდა ტყიბულის პოზიციონირება როგორც პროგრესული, თანამშრომლობაზე ორიენტირებული თვითმმართველობისა. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა მიიღეს პრაქტიკული გამოცდილება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად პროექტების დაგეგმვასა და ადმინისტრირებაში, რაც მომავალში ზრდის მათი მონაწილეობით განხორციელებული საგრანტო და საინვესტიციო პროგრამების ეფექტიანობას.

სოციალური გავლენა ახალგაზრდებზე:

• სკოლა გარდაიქმნა ახალგაზრდული თვითრეალიზაციისა და პროფესიული განვითარების ცენტრად, სადაც მოზარდები ეუფლებიან მომავლის პროფესიებს (AI, 3D დიზაინი, ციფრული ხელოვნება, STEM, პროექტების მენეჯმენტი).
• განვითარდა მოსწავლეების ლიდერული, გუნდური და კომუნიკაციის უნარები, რაც ზრდის მათ დასაქმების შესაძლებლობებს.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

ტყიბულის მუნიციპალიტეტში განხორციელებულმა ინიციატივამ ნათლად აჩვენა, რომ წარმატებული პრაქტიკის შექმნა მხოლოდ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას არ ეფუძნება — ის მოითხოვს ინტეგრირებულ პარტნიორობას, ძლიერი ადმინისტრაციული კოორდინაციას, თემის ჩართულობას და ინოვაციური ხედვის მქონე საგანმანათლებლო მიდგომას.

პროექტის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოცდილებად მიიჩნევა **საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობა**. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას, TDDF-სა და კერძო პარტნიორს შორის ჩამოყალიბდა ისეთი სინერგია, რომელიც შესაძლებელს ხდიდა ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიან გამოყენებას. ამ მოდელმა დაამტკიცა, რომ სწორად სტრუქტურირებული პარტნიორობა განსაზღვრავს პროექტის ხარისხს, ვადებსა და შედეგის მდგრადობას.

აგრეთვე, პროექტმა გაძლიერა მუნიციპალიტეტის **საგრანტო კომპეტენცია**. GIZ-თან მუშაობის პროცესში მიღებული გამოცდილება — განაცხადის მომზადებიდან დაწყებული, ტექნიკური ზედამხედველობით და ანგარიშგებებით დასრულებული — მნიშვნელოვნად ზრდის თვითმმართველობის შესაძლებლობას მომავალშიც შეძლოს საერთაშორისო გრანტების მოზიდვა და ადმინისტრირება. სწორედ ეს უნარ-ჩვევები გახდა ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი პროექტის ეფექტიანად განხორციელებისთვის.

ადმინისტრაციული მოქნილობა და მერიასა და საკრებულოს შორის გამართული კომუნიკაცია განსაკუთრებულ როლს ასრულებდა. გადაწყვეტილებები მიიღებოდა გამჭვირვალედ, სწრაფად და არგუმენტირებულად, რაც უზრუნველყოფდა სამუშაოების შეუფერხებელ მიმდინარეობას, კონტროლისა და მონიტორინგის მკაცრ სისტემას და დაინტერესებული მხარეების მუდმივ ინფორმირებას.

საზოგადოების ჩართულობამ პროექტს მისცა დამატებითი სტაბილურობა და ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ახალგაზრდების, მშობლების, პედაგოგების, შშმ პირთა წარმომადგენლებისა და ადგილობრივი ჯგუფების მონაწილეობამ აქცია პროექტი არა მხოლოდ ინფრასტრუქტურულ ინიციატივად, არამედ ქალაქის საერთო მისიის ნაწილად. ეს ნიშნავდა, რომ სასკოლო სივრცის განახლება აღიქმებოდა არა მხოლოდ შენობის რემონტად, არამედ ახალი საგანმანათლებლო კულტურის შექმნად.

ტყიბულის ხედვა — ტრადიციული ხელოვნებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების შერწყმის — გამოირჩეოდა წინსვლით. ხელოვნურ ინტელექტზე, 3D მოდელირებასა და STEM-ზე დაფუძნებულმა მიდგომებმა შეძლო ახალგაზრდებისთვის ახალი სივრცის გახსნა, რომელიც აერთიანებს როგორც შემოქმედებით, ისე ტექნოლოგიურ უნარებს და ქმნის მომავლის პროფესიების სასწავლო პლატფორმას.

პროექტის განხორციელებამ მალე წარმოშვა **მდგრადობის ახალი სტანდარტი**. ინოვაციების სკოლა სრულად ინტეგრირდა მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანებაში და გადაიქცა მუდმივ მუნიციპალურ სერვისად. 2025 წლიდან ადგილობრივ ბიუჯეტში უკვე ასახულია სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯები, ინვენტარის განახლება და საზოგადოებრივი ღონისძიებების დაფინანსება, რაც უზრუნველყოფს პროექტის უწყვეტობას და გრძელვადიან სიცოცხლისუნარიანობას.

მოსახლეობის შეფასებამ და მხარდაჭერამ დაადასტურა, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა — ის აღიქმება როგორც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სოციალური ინიციატივა, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს ახალგაზრდების თვითრეალიზაციაზე, განათლებაზე, ქალაქის კულტურულ დინამიკაზე და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე.

ტყიბულის გამოცდილება დამაჯერებლად აჩვენებს, რომ მსგავსი პრაქტიკის დანერგვა ნებისმიერ მუნიციპალიტეტში შესაძლებელია, თუ დაცული იქნება სამი ძირითადი პრინციპი:

1. **მკაფიო მიზანი და სწორად ფორმულირებული პრობლემა** — წარმატებული პროექტი იქმნება მაშინ, როდესაც გამოწვევა ზუსტად არის იდენტიფიცირებული და მიზანი — რეალისტურად განსაზღვრული.

2. **პარტნიორული თანამშრომლობა** — საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის რესურსების გაერთიანება ქმნის მაღალი ეფექტიანობის მოდელს.
3. **საზოგადოების თანმიმდევრული ჩართულობა** — მოსახლეობის მონაწილეობის გარეშე პროექტის შედეგი ვერ გახდება მდგრადი და ფართო გავლენის მქონე.

საბოლოოდ, ტყიბულის ინიციატივა წარმოადგენს პრაქტიკას, რომელიც არა მხოლოდ ცვლის ადგილობრივ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურას, არამედ აყალიბებს ინოვაციურ ეკოსისტემას, რომელიც ხელოვნებას, ტექნოლოგიასა და ახალგაზრდულ განვითარებას აერთიანებს ერთ სივრცეში. ეს მოდელი უკვე ამართლებს და სრულად შეიძლება გახდეს შთაგონების წყარო სხვა მუნიციპალიტეტებისთვის, რომლებიც ცდილობენ განათლების, კულტურისა და ინოვაციების გაძლიერებას

10. საკრებულოს როლი:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მნიშვნელოვანი, თანმიმდევრული და ინსტიტუციურად ძლიერი როლი შეასრულა პროექტის განხორციელების პროცეში — ინიცირებიდან დასრულებამდე.

საკრებულომ პროექტი განიხილა მუნიციპალიტეტის 2024–2027 წლების განვითარების დოკუმენტში განსაზღვრული პრიორიტეტების პრიზმით და აღიარა მისი სტრატეგიული აუცილებლობა. შესაბამისად, ოფიციალურად დაუჭირა მხარი რეაბილიტაციის განხორციელებას და დაამტკიცა პროექტისთვის საჭირო თანამონაწილეობის მოცულობა, რაც გახდა ფინანსური უზრუნველყოფის სამართლებრივი საფუძველი.

პროექტის შერჩევა საუკეთესო პრაქტიკის კონკურსისთვის

საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი პროექტის წარდგენას Best Practice Program-ის კონკურსში. გადაწყვეტილება ემყარებოდა შემდეგ ძირითად ნიშნებს:

- ინიციატივის ინოვაციურ და თანამედროვე მოდელს,
- მოსახლეობაზე საგრძნობ და გრძელვადიან სოციალურ გავლენას,
- საგანმანათლებლო, კულტურული და ტექნოლოგიური კომპონენტების წარმატებულ ინტეგრირებას,
- საერთაშორისო დონორებთან თანამშრომლობის მაღალი სტანდარტს.

საკრებულოს ოფიციალური პოზიცია იყო, რომ აღნიშნული პროექტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ, სტრატეგიულ და გამორჩეულ ინიციატივას.

ფრაქციების პოზიცია

პროექტის განხილვის პროცესში საკრებულოს ყველა ფრაქცია აქტიურად იყო ჩართული. მოეწყო კონსულტაციები, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სრული პოლიტიკური კონსენსუსი.

ფრაქციების მიერ გამოთქმული ძირითადი არგუმენტები შეეხებოდა:

- ინფრასტრუქტურის განახლების მნიშვნელოვან საჭიროებას,
- ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო, თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო სივრცის შექმნას,
- GIZ-ის გრანტის ეფექტიან ათვისებას და მის მნიშვნელობას მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის,
- პროექტის საგანმანათლებლო, კულტურულ და სოციალურ ეფექტებს.

11. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

ტყიბულის მუნიციპალიტეტი ინოვაციების სკოლის მთავარი წარმატების საფუძვლად განიხილავს იმ მოდელს, რომელიც აერთიანებს ხელოვნებას, STEM-ს, ციფრულ ტექნოლოგიებსა და AI-ს ერთ სასწავლო ეკოსისტემაში. სწორედ ამიტომ, სამომავლო ხედვა მიმართულია ამ ეკოსისტემის კიდევ უფრო გაძლიერებისა და გაფართოებისკენ, რათა ქალაქი გადაიქცეს რეგიონულ ინოვაციურ ცენტრად.

სკოლის განვითარება პირველ რიგში უკავშირდება ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განახლებას. დაგეგმილია ინოვაციების ლაბორატორიის გაძლიერება, შედეგად მოსწავლეები დამოუკიდებლად შექმნიან 3D მოდელებს, ურბანული ობიექტების მაკეტებს, AI რენდერებსა და ვიზუალურ კონცეფციებს, რომელიც შემდგომ მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის რეალურ მასალად იქცევა. მსგავსი ჩართულობა მნიშვნელოვნად აძლიერებს ახალგაზრდაების პასუხისმგებლობის განცდას და მათ მონაწილეობას ადგილობრივი გადაწყვეტილებების ფორმირების პროცესში.

მუნიციპალიტეტი ასევე გეგმავს AI–ზე და ციფრულ განათლებაზე დაფუძნებული ახალი მოდულების დანერგვას. სკოლის სილაბუსში დაემატება ხელოვნური ინტელექტის საბაზისო და სიღრმისეული კურსები, AI-სთორითელინგი, კონცეფტ–დიზაინი, 3D ანიმაცია და ვიზუალური ეფექტების სწავლება. აღნიშნული მიმართულებები პასუხობს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ზრდის ახალგაზრდების დასაქმების პოტენციალს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლის მიერ ჩამოყალიბებულ ურთიერთობას მუნიციპალიტეტთან. მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეთა მიერ შექმნილი 3D კონცეფციები, ინოვაციური იდეები და დიზაინ–პროექტები რეალურად გათვალისწინებული იყოს ქალაქის ურბანული განვითარების პროცესში. აღნიშნული პარტნიორობა აძლიერებს ადგილობრივ დემოკრატიას, მონაწილეობით მმართველობას და ახალგაზრდების ჩართულობას მუნიციპალიტეტის მომავლის დაგეგმვაში.

სტრატეგიული გეგმის ნაწილი ასევე არის **„Tkibuli Art & Innovation Summit“** — რეგიონული მასშტაბის ყოველწლიური ფესტივალი, რომელიც მოიზიდავს დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდებს, მასწავლებლებსა და სტარტაპ–მენტორებს. ფესტივალი გახდება პლატფორმა კონკურსებისთვის, გამოფენებისთვის, ინოვაციური პროექტების პრეზენტაციებისა და ჰაკათონებისთვის, რის შედეგადაც ტყიბული კიდევ უფრო განმტკიცდება როგორც ინოვაციური ქალაქი.

გრძელვადიანი მიზანი უკავშირდება **პროგრამირების აკადემიის შექმნას**, რომელიც ინოვაციების სკოლის ბაზაზე გაშენდება. უკვე არსებული ციფრული ლაბორატორიები, 3D მოდელირების სივრცეები და AI ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება ქმნის ბუნებრივ საფუძველს იმისთვის, რომ მომავალში მუნიციპალიტეტში ჩამოყალიბდეს სრული ციფრული განათლების ცენტრი — პროგრამირების, კიბერუსაფრთხოების, ვებ–დეველოპმენტისა და რობოტიკის მიმართულებებით. ეს იქნება შესაძლებლობა, რომ ტყიბულის ახალგაზრდებმა ადგილობრივად მიიღონ თანამედროვე IT განათლება და რეგიონში შეიქმნას მაღალი ტექნოლოგიური კადრების ახალი თაობა.

პროექტის სამომავლო ხედვა მუნიციპალიტეტის სოფლებში აღნიშნული სკოლის ფილიალების გახსნასაც გულისხმობს, რათა ყველა ბავშვს ჰქონდეს წვდომა ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:

უჩა ჩიტიძე - მერის თანაშემწე — საერთაშორისო და საგრანტო პროექტების მოძიებისა და ადმინისტრირების მიმართულებით
ტელ.: **555 97 42 13**
ელ.ფოსტა: ucha.chitidze@tkibuli.gov.ge
u.chitidze@gmail.com

- **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**:
  ნინო ბუბაშვილი - ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - (599 102 511; nino.bubashvili@tkibuli.gov.ge)
  ზაზა ზოსიაშვილი - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი (599 273 250; tyibuli.infrastr@gmail.com)

13. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

ა) პროექტის განხორციელების პროცესში შექმნილი დოკუმენტები

1. **დანართი N1.** ტყიბულის მუნიციპალიტეტის შუახნის განვითარების დოკუმენტი (2024–2027)
2. **დანართი N2.** მერის №46 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (2023)
3. **დანართი N3.** 2023 წლის 20 ივნისის შეხვედრის ოქმი – სამხატვრო სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან (საპროექტო იდეის პრეზენტაცია)
4. **დანართი N4.** ტყიბულის გენდერული თანასწორობის საბჭოს 12.09.2023 სხდომის ოქმი – პროექტის მხარდაჭერის შესახებ
5. **დანართი N5.** საკრებულოს გადაწყვეტილება (31.07.2023) – პროექტის მოწონებისა და თანამონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ
6. **დანართი N6.** თანამშრომლობის მემორანდუმი მუნიციპალიტეტსა და ა(ა)იპ „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდს“ (TDDF) შორის (04.10.2023)
7. **დანართი N7.** ინოვაციების სკოლის სილაბუსი
8. **დანართი N8.** ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის გეგმური და რეალიზებული რენდერები
9. **დანართი N9.** სამუშაოების, პროცესის და დასრულებული ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა

ბ) ანგარიშები

გ) სტრატეგიული და პროგრამული დოკუმენტები (პროექტთან დაკავშირებული):

• მუნიციპალიტეტის 2024–2027 საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი

დ) ვიზუალური და მედიამასალა

პროექტის განხორციელების, შეხვედრების, სამუშაო პროცესისა და გახსნის ღონისძიების ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა, მათ შორის:

1. **შენობის ფოტოები** (დანართი N9)
2. **ტელესიუჟეტი** — ვიზუალური ხელოვნებისა და ინოვაციების სკოლის გახსნის შესახებ
   https://www.facebook.com/reel/1840946866852723
3. **მერიის ოფიციალური გვერდის პოსტი სკოლის გახსნაზე:**
   https://www.facebook.com/share/p/1AfkpGmaQh/

განაცხადის მიღების ვადაა 2025 წლის 15 სექტემბერი - 30 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

* **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 595 577734 nzurabishvili@nala.ge